საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# მეცნიერული კვლევების სტატისტიკა

# 2018



www.geostat.ge
25.09.2019

## მეცნიერული კვლევების სტატისტიკა

(2018 წელი )

2018 წელს, საქართველოში მეცნიერულ კვლევებს ახორციელებდა 56 დაწესებულება, საიდანაც 47 ერთეული წარმოადგენდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. მათ მიერ წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ჯამურმა მოცულობამ 128.3 მილიონი ლარი შეადგინა.

კვლევებსა და დამუშავებებზე დასაქმებულთა რიცხოვნობამ 15 522 შეადგენა, რომელთაგან 11 174 ერთეულს წარმოადგენდნენ მკვლევარები. მკვლევარების 53 პროცენტი ქალია, ხოლო 47 პროცენტი კაცი.

მკვლევართა 65.6 პროცენტი არის დოქტორი ან მასთან გათანაბრებული განათლებით, 30.1 პროცენტი - მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული განათლებით, 4.2 პროცენტი ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული განათლებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მკვლევარების განაწილება განათლების დონისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა №1

### მკვლევარების განაწილება განათლების დონის და სქესის მიხედვით



რაც შეეხება მკვლევარების განაწილებას ასაკის მიხედვით, ქალებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის 45-54 წლის ასაკობრივ ჯგუფზე, ხოლო კაცებში - 65 წლის და უფროს ასაკობრივ ჯგუფზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მკვლევარების განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით.

დიაგრამა №2

**მკვლევარების განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით**




მკვლევარების ყველაზე დიდი ნაწილი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით მუშაობენ, რომელთა საერთო რიცხოვნობა 2 745 ერთეულს შეადგენს. ხოლო ყველაზე მცირე ნაწილი სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის მიმართულებაზე მოდის, სადაც 500-მდე კაცია დასაქმებული.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მკვლევარების განაწილება სამეცნიერო სფეროების მიხედვით.

დიაგრამა №3

## მკვლევარების განაწილება სამეცნიერო სფეროების მიხედვით




საკონტაქტო პირი:
ვასილ წაქაძე, ტელ: 2 36 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge